დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2024 წლის 9 სექტემბერი**

დისციპლინური საქმე №69/23
ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 31 მარტის №69 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

2023 წლის 4 აპრილს, დისციპლინურ საჩივარზე დადგინდა ხარვეზი. 2023 წლის 11 აპრილს საჩივრის ავტორმა აღმოფხვრა საჩივრაში დაშვებული ხარვეზი. საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 19 აპრილის №239/69 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრების შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უამაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 28 აპრილის №69/23 გადაწყვეტილებით, დისციპლინური საჩივრის წინასწარი მოკვლევის ვადა გაგრძელდა 2 კვირით.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავდა, რომ 2023 წლის 27 თებერვალს განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა -- -- მიმართ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო სხდომის ოქმები, რომლის სს საქმეზე იცავდა დაზარალებულის - -- -- ინტერესებს. საჩივრის ავტორის განმარტებით, სასამართლომ მისი განცხადება რეაგირების გარეშე დატოვა, რაც წარმოადგენს დაზარელებულის უფლებების უხეშ დარღვევას.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2023 წლის 27 თებერვალს, ადვოკატმა -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომის ოქმების გადაცემა და საქმეზე დამდგარი განაჩენის ასლი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულ -- -- ინტერესებს იცავდა -- --.

საქმის მასალებიდან დგინდება, რომ -- საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განსჯადობასთან მიკუთვნებულ კორესპონდენციაზე პასუხის მომზადება ევალებოდა სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების განყოფილების წამყვან სპეციალისტს.

-- საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 აპრილის №-- ბრძანებით, -- -- 2023 წლის 27 თებერვლის განცხადებასთან დაკავშირებით, -- საქალაქო სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წარმყვანი სპეციალისტის მიმართ დაწყებულია დისციპლინური წარმოება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანონით გათვალისწინებული წესით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დისციპლინურ სამართალწარმოებას ახორციელებს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ.

ამავე, ორგანული კანონის 51^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება შემოიფარგლება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის გამოკვლევით და წინასწარი შემოწმებით.

დისციპლინური საჩივრის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ადვოკატ -- -- მიერ დისციპლინურ საჩივარში მითითებული გარემოება დაკავშირებულია -- საქალაქო სასამართლოს აპარატის წამყვანი სპეციალისტის პროფესიული მოვალეობების შესრულებასთან, რაც სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილების საკითხს. ამდენად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2023 წლის 4 ივლისის №-- განკარგულებით, 2023 წლის 26 ივნისიდან -- -- გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან, 65 წლის მიღწევის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და~

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- 2023 წლის 31 მარტის №69 საჩივრის საფუძველზე ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

შოთა ქადაგიძე
დამოუკიდებელი ინსპექტორი